01.07.2013

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

გამოცემა #1

პარტნიორი უნივერსიტეტები:

US, ესპანეთი

IU, ჰოლანდია

HWU, დიდი ბრიტანეთი

HECH, ბელგია

TSU, საქართველო

GTU, საქართველო

BTEU, ბელარუსი

BSEU, ბელარუსი

TSUC, ტაჯიკეთი

TTU, ტაჯიკეთი

პარტნიორი სამინისტროები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ბელარუსის განათლების სამინისტრო

ტაჯიკეთის განათლების სამინისტრო

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია მონაწილე უნივერსიტეტების შესაბამისი ადმინისტრაციული რგოლების (საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტები, საერთაშორისო ოფისები) განვითარების ხელშეწყობის გზით საერთაშორისო თანამშრომლობის არეალის გაფართოება, რათა თვალნათელი გახდეს ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა სწავლების, სწავლისა და კვლევის უნარების ამაღლებაში.

პროექტის ამოცანები

საერთაშორისო კავშირების გაფართოების პოტენციალის იდენტიფიცირება და სწავლის, სწავლების და კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნით ეროვნული რეკომენდაციების შემუშავება პარტნიორი ქვეყნებისთვის ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთის სამეზობლო სივრცეში.

სტრუქტურული ერთეულებისა და ადამიანური რესურსების გაძლიერება 2014 წლისთვის პროექტის ბენეფიციარი ქვეყნების (ბელარუსი, საქართველო, ტაჯიკეთი) 6 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკისა და მექანიზმის განვითარებისა და განხორციელების მიზნით.

2014 წლის ოქტომბრისათვის მულტირეგიონალური ქსელის ჩამოყალიბება ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე დიალოგისა და უმაღლესი განათლების სფეროში ბელარუსს, საქართველოსა და ტაჯიკეთის შორის თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

პროექტის ბენეფიციარი ქვეყნებისა და ევროკავშირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებს შორის პროფესიული კავშირების გაფართოება.

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
DEPARTMENT OF FOREIGN RELATIONS

PARTNERSHIP NETWORK

პროექტის საიდენტიფიკაციო დეტალები

პროექტის ტიპი: Tempus IV, კონტრაქტის ნომერი 2011-2532/001-001 TEMPUS-SMGR 516663-TEMPUS-1-2011-ES-TEMPUS-SMGR

დაწყების თარიღი: 2011 წლის 15 ოქტომბერი

ხანგრძლივობა: 3 წელი

ბიუჯეტი: € 825.618,34 (89,97%) + თანა-დაფინანსება

გრანტის მიმღები: სევილის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

კოორდინატორი: პროფესორი დოქტორი მიგელ ანხელ ადამე (სევილის უნივერსიტეტი)

http://institucional.us.es/tempusicaen/

ფოტოზე თსუ-ში 2012 წლის 2 ივლისს გამართული პროექტის პარტნიორების შეხვედრის მონაწილეები

პროექტის კოორდინატორი დაწესებულება

სევილიის უნივერსიტეტი (US), ესპანეთი
http://www.us.es/

ლოკალური კოორტინატორი (საქართველო)

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

tea.gergedava@tsu.ge

+995.32.222.11.03

www.tsu.edu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია

ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ 1918 წელს დაფუძნებული პირველი ქართული უნივერსიტეტი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ცივილიზებულობის, დემოკრატიულობისა და თვითმყოფადობის სიმბოლოა, რომლის მიზანია სტუდენტებისთვის თანამედროვე სტანდარტის შესატყვისი განათლების მიცემა, მათთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია.

საუკუნოვანი არსებობის განმავლობაში მიღწეული მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად თსუ ისწრაფვის იყოს საუკეთესო, როგორც კვლევებში, ასევე, განათლების სფეროში. მას, როგორც საქართველოს უმაღლესი განათლების ლიდერს, აკისრია უდიდესი მისია – შეინარჩუნოს, შექმნას და გავრცელოს განათლება.

პროექტის ფარგლებში თსუ-ს მიერ 2012 წელს განხორციელებული აქტივობები

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა დაიწყო აქტიური მუშაობა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმის შექმნაზე. ლოკალური მუშაობის პარალელურად მიმდინარეობს პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილების შესწავლა აღნიშნული კუთხით.

შემქმნილ იქნა პროექტის მიხედვით თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის აღჭურვისათვის გათვალისწინებული საოფისე ტექნიკა;

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტის ინაუგურაციის შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა სევილიის უნივერსიტეტში (ესპანეთი) 2012 წლის იანვარში.

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა 2012 წლის დასაწყისში გაიარა ინტენსიური ტრენინგი საუნივერსიტეტო საერთაშორისო კონტაქტების მართვის თემაზე. პროექტის პარტნიორ უნივერსიტეტის - ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ამსტერდამის კამპუსში (ჰოლანდია).

2012 წლის 2 ივლისს თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა უმასპინძლა პროექტის გაფართოებულ სამუშაო შეხვედრას, რომელიც მიეძღვნა საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადების თავისებურებებს და საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელების წევრობის უპირატესობების მიმოხილვას. შეხვედრის ფარგლებში ჰოლანდიელმა და ბრიტანელმა ექსპერტებმა ჩაატარეს მასტერკლასები საუნივერსიტეტო საგარეო ურთიერთობათა ოფისების მართვის მოდელებზე.

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო პროექტის პარტნიორ უნივერსიტეტებში 2012 წლის აგვისტოში — ჰერიოტ უოტის უნივერსიტეტი (ედინბურგი, დიდი ბრიტანეთი) და მარლმანის უმაღლესი სკოლა (ლიჟი, ბელგია) — გამართულ სემინარში, რომელიც ეხებოდა პროფესიული ინგლისური ენის კომპეტენციების დახვეწა-განვითარების აუცილებლობას პროექტის პარტნიორი არა-ევროპული უნივერსიტეტების ადმინისტრაციის შესაბამისი რგოლ(ებ)ის წარმომადგენლებისათვის.

2012 წლის სექტემბერში თსუ-ს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პროექტის პარტნიორ უნივერსიტეტში — ბელგრადის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი (მინსკი, ბელარუსი) — გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ეხებოდა უგდ-ების მართვის სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ინტერნაციონალიზაციას.

2012 წლის ოქტომბერში პროექტის შუალედური მონიტორინგის მიზნით თსუ-ს ადმინისტრაციამ უმასპინძლა პროექტის კოორდინატორს პროფ. დრ. მიგელ ანხელ ადამსა და სევილიის უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს სანტიაგო მელკონს. თსუ-ს რექტორთან და ფაკულტეტების დეკანებთან შეხვედრებისას გამოვლინდა სევილიის უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავების შესაძლებლობა და დაიგეგმა კონკრეტული ნაბიჯები.

საინფორმაციო ბიულეტენი მომზადდა თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ. ყველა უფლება დაცულია. თბილისი 2013წ.